

როგორ დაიბადა ფაშისტურ გერმანიაში ანტისემიტიზმი

ნინო ნიპარიშვილი

გაკვეთილის თემა: როგორ დაიბადა ფაშისტურ გერმანიაში ანტისემიტიზმი.

კლასი: მეათე

საგანი: სამოქალაქო განათლება

გაკვეთილის მიზანი:

- საგაკვეთილო პროცესში მოსწავლემ უნდა შეძლოს ანტისემიტიზმის, როგორც ისტორიული რეალობის აღქმა და მისი კრიტიკული ანალიზი.
- მსჯელობითა და დოკუმენტური მასალის დახმარებით სწორი დასკვნების გამოტანა.
- გამოყენებული ვიდეო მასალის კრიტიკული ანალიზი.

მედიაწიგნიერების მიზნებია:

- მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზანტაციის შეფასება.
- სხვა და სხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება.
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვა და სხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

გაკვეთილის შედეგი:

- გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები გამოიმუშავენებ ინფორმაციის დახარისხების ანალიზის უნარს.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

ანტისემიტიზმი – *არის ებრაული ერის ან რელიგიის მიმართ მტრული, უარყოფითი ან არასანდომიანი დამოკიდებულება.*

ისტორიულად, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პერიოდში ებრაელები ხშირად იყვნენ მასიური დევნის და შევიწროების საგანი. გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის (1933-1945) მკვეთრად გამოხატულ ანტისემიტურ პოლიტიკას შეეწირა დაახლოებით 6 000 000 ებრაელის სიცოცხლე. (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი).

პროპაგანდა – *ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმის გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი).*

ჰოლიკოსტი – *ცნობილია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების, ასევე ბოშების, ჰომოსექსუალების და სხვა უმცირესობების მასიური გენოციდი. განადგურებული იქნა 6 მილიონზე მეტი ებრაელი. მოკლული საბჭოთა სამხედრო ტყვეების, პოლონელი ინტელექტუალების და სხვების გათვალისწინებით მსხვერპლის რიცხვი გაცილებით დიდია. (ვიკიპედია)*

რესურსი:

- პროექტორი
- ლეპტოპი
- მასწავლებლის სალექციო მასალა
- ფოტო
- პლაკატი
- მოსწავლეთა საკიტხავი მასალა
- ვიდეო ამონარიდი

ნინო ნიპარიშვილი
შპს „ბესიკ ნიპარიშვილი“ მ/პ სკოლა გიმნაზიის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

გაკვეთილის მიმდინარეობა:

აქტივობა#1: მასწავლებელი, ტერმინი ანტისემიტიზმის გასააზრებლად მოსწავლეებს აჩვენებს ფოტოებს და სთხოვს გაანალიზონ ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით:

პლაკატი #1	**სურათი #2** **ფიურერის შეხვედრა ბავშვებთან**

პლაკატი #1 – ანტისემიტის სახე

კითხვა	**სავარაუდო პასუხი**
1) ვინ არის პლაკატის აუდიტორია?	1) ხალხი
2) რა მიზანს ემსახურება პლაკატი?	2) ფაშისტებმა ებრაელები გაანადგურეს, მათ შორის უამრავი ბავშვი
3) როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბბას უწყობს ხელს პლაკატი?	3) ხალში დისკრიმინაციისა და ძალადობრივი ქმედებების დაგმობას
4) თქვენი აზრით, რას ემსახურება პროპაგანდა?	4)ანტისემიტიზმის დაგმობას
5) რომელ ქვეყანაში ხდება მოქმედება?	5)გერმანიაში
6) როდის და ვის მიერაა შექმნილი პლაკატი?	პლაკატი შექმნილია ჰიტლერის მმართველობის პერიოდში ფაშისტური

	რეჟიმის მოწინააღმდეგეების მიერ

სურათი #2 – ფიურერის შეხვედრა ბავშვებთან

კითხვა	სავარაუდო პასუხი
ვინ არის სურათის აუდიტორია?	ხალხი
რა მიზანს ემსახურება სურათი?	ფიურერს უყვარს ადამიანები
როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს სურათი?	მოსახლეობაში ნაცისტების მიმართ კეთილგანწყობას
თქვენი აზრით რას ემსახურება ეს პროპაგანდა?	ფიურერის მიმართ ნდობას, მორჩილებას და ფანატიზმს
რომელ ქვეყანაში ხდება მოქმედება?	გერმანიაში
როდის და ვის მიერაა შექმნილი პლაკატი?	ფოტო გადაღებულია ჰიტლერის მმართველობის პერიოდში, სავარაუდოდ გერმანული ფაშისტური ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ.

აქტივობა #2: პრეზენტაციის ჩვენება – მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ზოგადად ანტისემიტიზმზე, მისი „დაბადების“ ისტორიასა და ჰოლოკოსტის დღეზე.

აქტივობა #3: პრეზენტაციის შემდგომ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვას – როგორ ფიქრობენ, ყველა გერმანელი ჩართული იყო ანტისემიტურ პროცესში? ხომ არ შეუძლიათ დაასახელონ ისტორიიდან რამოდენიმე პიროვნება?

სავარაუდო პასუხი: მოსწავლეები დაასახელებენ მარლენ დიტრიხს, თომას მანისა და ზიგმუნდ ფორიდს...

აქტივობა #4: ზეპირი პასუხების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბიოგრაფიულ საკითხავ მასალას მარლენ დიტრიხსა და თომას მანზე.

დიტრიხი 1939 წელს ამერიკის მოქალაქეობას იღებს. მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში საზოგადოების წინაშე მას გამოსვლა არ შეუწყვეტია. დიტრიხი ცნობილი იყო მტკიცე პოლიტიკური პოზიციებით. ის შეურიგებელი ანტი-ნაცისტი იყო და იმ დროინდელი გერმანიის ანტისემიტურ პოლიტიკას გმობდა. ამ დროს ჩაწერა მან რამდენიმე ანტი-ნაცისტური სიმღერა, მათ შორის "ლილი მარლენი", რომლის მოტივი ომის ხაზგასმული სიძულვილია. ამავე დროს ის მონაწილეობს მიუზიკლებში ამერიკელი ჯარისკაცების გასართობად. ის მოკავშირეთა ჯარებისთვის ფრონტის წინა ხაზზე ალჟირსა და გერმანიაში მღეროდა.

Ambebi.ge

ნინო ნიპარიშვილი
შპს „ბესიკ ნიპარიშვილი“ მ/პ სკოლა გიმნაზიის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

როგორ დაიბადა ფაშისტურ გერმანიაში ანტისემიტიზმი

1933 წელს, როცა ჰიტლერი კანცლერი გახდა და ნაციონალ-სოციალისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, თომას მანი მეუღლესთან ერთად შვეიცარიაში ისვენებდა. ნაციონალ-სოციალისტები სთხოვდნენ დაბრუნებულიყო გერმანიაში. ხელისუფლებას მისი წიგნები არ ჰქონდა შეტანილი იმ ავტორთა ჩამონათვალში, რომელთა წიგნები 1933 წლის 10 მაისს უნდა დაეწვათ. ნაცისტები ჯერ კიდევ იმედოვნებდენ, რომ ცნობილ მწერალს მისი მოკავშირეების რიგებში იხილავდნენ. ამასთან, თომას მანი საჯაროდ რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლაზე თავს იკავებდა, თავისი წიგნების ბედის გამო, რომლებსაც ჯერ კიდევ ფართოდ გამოსცემდნენ გერმანიაში.

მაგრამ, სადაც “ხალხს “სისხლიანი ხელებით თვალებს ახუჭინებდნენ”, ის არ დაბრუნდა და მეუღლესთან ერთად ციურიხის მახლობლად დასახლდა.1936 წელს, პრაღის ანტინაცისტურ გაზეთში გამოაქვეყნა წერილი, სადაც განაცხადა, რომ “მე იმ ემიგრაციას ვეკუთვნი, რომელიც უკეთესი გერმანიისათვის იბრძვის”. თომას მანს არ შეეძლო შვეიცარიიდან გამგზავრება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, რადგანაც თავის გერმანულ პასპორტს ვადა ჰქონდა გავლილი, ხოლო მისი გაგრძელებისათვის ხელისუფლება ითხოვდა გერმანიაში ჩამოსვლას. გერმანიაში მას ელოდა გარდაუვალი დაპატიმრება, შესაბამისი ბრძანება უკვე გაცემული ჰქონდა პოლიციას. გადასახადების გადაუხდელობის საბაბით, მანს სახლი ჩამოართვეს მიუნხენში. ნაციონალ-სოციალისტებმა არა ერთი პროვოკაცია მოუწყვეს. როცა ის ციურიხში იმყოფებოდა, მისი მანქანა გაიტაცეს და ავარია მოახდინეს. პოლიციამ კი თომას მანს დააკისრა ჯარიმის გადახდა. თომას მანმა გადაწყვიტა თავი აერიდებინა მოსალოდნელ პრობლემებს და საჯაროდ უარი თქვა გერმანიის მოქალაქეობაზე. მასთან ერთად ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირი გაწყვიტა 36 ცნობილმა გერმანელმა მოაზროვნემ, მათ შორის ალბერტ აინშტაინმა. ამასთანავე, მათ უარი თქვეს ფიურერის მიმართ ერთგულების სავალდებულო ფიცის დადებაზე. თომას მანს ჩამოართვეს ბონის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება, რომელიც მას 1919 წელს მიანიჭეს (1949 წელს ისევ აღუდგინეს).
1936 წელს თომას მანმა ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეობა მიიღო, ხოლო 1939 წელს ამერიკაში გაემგზავრა, სადაც ბევრ სხვა ემიგრანტთან ერთან პრინსტონის უნივერსიტეტში დაიწყო მოღვაწეობა.

Burusi.ge

აქტივობა #5 : იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ გაანალიზონ ანისემიტიზმის არსი და ასევე ის, რომ ყველა გერმანელი არ იყო ნაცისტური პოლიტიკის გამტარებელი, ვაჩვენებთ ნაწყვეტებს ფილმიდან ნაწყვეტებს „შინდლერის სია“:

ვიდეო #1: https://www.youtube.com/watch?v=WPsAR9Sx-JQ

ვიდეო „შინდლერის სიის“ ნაწყვეტებს შეიცავს, რომელსაც ფონად ადევს ცნობილი მუსიკოსის ჯონ ვილიამსის გენიალური მუსიკა. ებრაელების მასობრივი დევნა, განადგურება, კრემაცია... კადრები მთლიანად ხაზს უსვამს ფაშისტური გერმანიის ანტისემიტურ პოლიტიკას...

ვიდეო #2: https://www.youtube.com/watch?v=j1VL-y9JHuI

ვიდეოში ასახულია ჰოლოკოსტის დღე, რომლის დროსაც გერმანელებმა ათასობით ებრაელი სიკვდილით დასაჯეს, ქალებს, ბავშვებს, მამაკაცებს პირდაპირ ქუჩაში ხვრეტდნენ... ცხენზე შემჯდარი, საჯირითოდ გამოსული ოსკარ შინდლერი სწორედ ამ სცენის მომსწრე გახდა...

ვიდეო #3: https://www.youtube.com/watch?v=qIp_8RNNX4k

ოსკარ შინდლერისა და მისი გადარჩენილი ებრაელების გამომშვიდობების სცენა... ებრაელმა მეგობრებმა მას ოქროს ბეწედი გადასცეს საჩუქრად, რომელზეც შემდეგი ციტატა იყო ამოტვიფრული:

„ვინც თუნდაც ერთი ადამიანი გადაარჩინა, მან გადაარჩინა მთელი სამყარო!“ ემოციებით შებყრობილი შინდლერი, როგორ განიცდის, რომ ვერ შეძლო მეტი ებრაელის გადარჩენა...

აქტივობა #6 : ფილმის ნაწყვეტების ჩვენების შემდგომ, მოსწავლეებს ვთხოვთ შეავსონ ქვემოთ მოცემული სქემა;

კითხვა	პასუხი
როგორ ფიქრობთ, რისი თქმა უნდოდა რეჟისორ სტივენ სპილბერგს?	მსოფლიოსთვის დაენახვებინა ანტისემიტიზმის შედეგები და გაეცოცხლებინა ოსკარ შინდლერის დოკუმენტალისტიკა.
როგორ თქვა თავისი სათქმელი?	სტივენ სპილბერგმა შესანიშნავად გადმოსცა სათქმელი რეალური და მხატრული ელემენტების სინთეზით
თქვენი აზრით, რა ემოციას იწვევს ფილმში გამოყენებული მუსიკები?	მუსიკა ზუსტადაა შერჩეული, ისტორიის შესაბამისი
როგორაა შერჩეული მთავარი როლის შემსრულებელი?	მთავარი როლის შემსრულებელი მაქსიმალურადაა დამსგავსებული რეალურ ოსკარ შინდლერს, ის სიმპატიური, ჭკვიანი და მიზანმიმართული ადამიანია
როგორ ფიქრობთ, ასახულია თუ არა ისტორიული რეალობა მაქსიმალური სიზუსტით?	რეჟისორი მაქსიმალური სიზუსტით ასახავს ებრაელთა დისკრიმინაციის ფაქტებს
როგორ შეფასებას მისცემდით ნაჩვენები ფილმის ნაწყვეტებს?	ემოციური, შთამბეჭდავი და სენსიტიური საყურებელი

აქტივობა #7 : დისკუსია – შეიძლება თუ არა ყველა გერმანელს ვუწოდოთ ანტისემიტი? საჭიროა თუ არა ვიცოდეთ ასეთი დიდი და მაშტაბური ტერორის ისტორიები და რას მოგვცემს ჩვენს ის?

მოსწავლეები მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამიჯნავენ ანტისემიტი გერმანელებისაგან მათ, ვინც თავიანთი წვლილი შეიტანეს თუნდაც ერთი ებრაელის გადარჩენაში. მოსწავლეები ამბობენ, რომ მსგავსი სახის იტორიების გაცნობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ამავ დროულად ასევე მნიშნელოვანია მისი გადამოწმება, სხვა და სხვა წყაროების გაცნობა.

აქტივობა #8 : მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ადოლფ ფიტლერის ერთ–ერთ გამოსვლას, ჩვენების შემდგომ ვთხოვთ მათ შეავსონ სქემა.

https://www.youtube.com/watch?v=EV9kyocogKo

ვიდეოში ასახულია ნაცისტების ყრილობაზე ადოლფ ჰიტლერი გამოსვლა. ის იდეოლოგიასა და გერმანელი ერის განსაკუტრებულობაზე საუბრობს...

კითხვა	სავარაუდო პასუხი
როგორ საუბრობს ჰიტლერი?	ემოციურად
როგორ შეაფასებდით ფიურერის გამოსვლას?	დიქტატორული
როგორ ფიქრობთ, რისკენაა მისი გამოსვლა მიზანმიმართული?	ადამიანების დამონებისა და ფანატიზმისკენ
ყველაზე მეტად რითი დაგამახსოვრდათ ფიურერის გამოსვლა?	ემოციებით, მიმიკებით

აქტივობა #9 : მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას ცნობილი გერმანელი პოეტის გიუნტერ გრასისა და აცნობს მის სკანდალურ ლექსს „ ის რაც უნდა ითქვას“

ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრმა გერმანელ მწერალ გიუნტერ გრასისთვის ლიტერატურის დარგში მიღებული ნობელის პრიზის ჩამორთმევა მოითხოვა. ინფორმაციას გერმანული გამოცემა შპიგელი ავრცელებს.

იუნტერ გრასმა გასულ კვირას ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში გამოქვეყნა ლექსი სათაურით ”ის, რაც უნდა ითქვას”, რის გამოც ისრაელმა მწერალი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა და ქვეყანაში შესვლა აუკრძალა.

სკანდალურ ლექსში წერია, რომ ისრაელი ირანის განადგურებას გეგმავს და მსოფლიო

მშვიდობას ემუქრება.

ლექსის გამოქვეყნების შემდეგ ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრმა ელი იშაიმ(Eli Yishai) გიუნტერ გრასს ნაცისტური წარსული გაუხსენა და ქვეყანაში შესვლა აუკრძალა, სამართლებრივ საფუძვლად კი დაასახელა ისრაელის კანონი, რომლის მიხედვითაც ყოფილ ნაცისტებს ისრაელში შესვლა ეკრძალებათ.

ბრიტანული გამოცემა Daily Mail წერს, რომ მოგვიანებით ისრაელის შს მინისტრმა განმარტა, რომ გრასის 70 წლის წინანდელი წარსულის გახსენების მიზეზი მისი ”ანტისემიტური” ლექსი გახდა. 2006 წელს გიუნტერ გრასმა აღიარა, რომ 17 წლის ასაკში, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე რამდენიმე თვის თვით ადრე გერმანული არმიის ერთ-ერთ დანაყოფში მსახურობდა.

”თუ გიუნტერს სურს თავისი მახინჯი და ყალბი ნაწარმოებები გაავრცელოს, ვთავაზობ, ეს დაიწყოს ირანიდან, სადაც მას მხარდამჭერი საზოგადოების პოვნა არ გაუჭირდება,” – ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრს ციტირებს Daily Mail.

ისრაელის მთავრობის სხვა წევრებმა, ასევე ისრაელში გამომავალი მედიასაშუალებების რედაქტორებმა სარედაქციო სვეტებში გერმანელი მწერალი ანტისემიტიზმში ღიად დაადანაშაულეს.

თავად გიუნტერ გრასმა კი განმარტა, რომ მან თავისი ლექსით გააკრიტიკა არა ისრაელი, როგორც ერი, არამედ ისრაელის ამჟამინდელი პრემიერ მინისტრის ბენიამინ ნათანიაჰუს მთავრობის პოლიტიკა.

http://netgazeti.ge/culture/13603/

What Must Be Said

Why do I stay silent, conceal for too long
What clearly is and has been
Practiced in war games, at the end of which we as survivors
Are at best footnotes.

It is the alleged right to first strike
That could annihilate the Iranian people–
Enslaved by a loud-mouth
And guided to organized jubilation–
Because in their territory,

It is suspected, a bomb is being built.

Yet why do I forbid myself
To name that other country
In which, for years, even if secretly,
There has been a growing nuclear potential at hand
But beyond control, because no inspection is available?

The universal concealment of these facts,
To which my silence subordinated itself,
I sense as incriminating lies
And force–the punishment is promised
As soon as it is ignored;
The verdict of “anti-Semitism” is familiar.

Now, though, because in my country
Which from time to time has sought and confronted
Its very own crime
That is without compare
In turn on a purely commercial basis, if also
With nimble lips calling it a reparation, declares
A further U-boat should be delivered to Israel,
Whose specialty consists of guiding all-destroying warheads to where the existence
Of a single atomic bomb is unproven,
But as a fear wishes to be conclusive,
I say what must be said.

Why though have I stayed silent until now?
Because I thought my origin,
Afflicted by a stain never to be expunged
Kept the state of Israel, to which I am bound

And wish to stay bound,
From accepting this fact as pronounced truth.
Why do I say only now,
Aged and with my last ink,
That the nuclear power of Israel endangers
The already fragile world peace?
Because it must be said
What even tomorrow may be too late to say;

Also because we–as Germans burdened enough–
Could be the suppliers to a crime
That is foreseeable, wherefore our complicity
Could not be redeemed through any of the usual excuses.

And granted: I am silent no longer
Because I am tired of the hypocrisy
Of the West; in addition to which it is to be hoped
That this will free many from silence,
That they may prompt the perpetrator of the recognized danger
To renounce violence and
Likewise insist
That an unhindered and permanent control
Of the Israeli nuclear potential
And the Iranian nuclear sites
Be authorized through an international agency
By the governments of both countries.

Only this way are all, the Israelis and Palestinians,
Even more, all people, that in this
Region occupied by mania
Live cheek by jowl among enemies,
And also us, to be helped.

შენიშვნა: გრასმა ლექსში გააიგივა ისრაელისა და ირანის პოლიტიკა. ის გმობს გერმანიის მიერ ისრაელისთვის იარაღის მიყიდვას და ამბობს, რომ ისრაელს არ უნდა მიეცეს ირანის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების საშუალება. ლექსში გრასი ამბობს, რომ მისი დუმილი დასრულდა, იმის გამო რომ ის გერმანელია, უსამართლობაა ჩუმად იყოს და არაფერი თქვას, რადგან მისი სიტყვა შეიძლება ანტისემიტიზმად შეფასდეს. ხვალ კი სიტყვის ამოღება შეიძლება გვიანი იყოს.

აქტივობა #10 : დისკუსია

დისკუსიის ეფექტური წარმართვის მიზნით მნიშვნელოვანია სტატიის განხილვა მედიაწიგნიერების კითხვების გამოყენებით, კერძოდ მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სტატიაში გამოთქმული ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა, დასკვნების შეფასება და საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმა. გთავაზობთ სტატიის განხილვის სქემას.

კითხვები	სავარაუდო პასუხები

რაზე აკრიტიკებს ისრაელის მთავრობა გრასს?	გრასმა გამოაქვეყნა სკანდალური ლექსი ,,ის რაც უნდა ითქვას“
რა არგუმენტები მოყავს კრიტიკის ავტორს ლექსის ანტისემიტური შინაარსის შესახებ?	გრასის მიერ გამოქვეყნებული ლექსი მახინჯი და ყალბია *”თუ გიუნტერს სურს თავისი მახინჯი და ყალბი ნაწარმოებები გაავრცელოს, ვთავაზობ, ეს დაიწყოს ირანიდან, სადაც მას მხარდამჭერი საზოგადოების პოვნა არ გაუჭირდება,” – ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრს ციტირებს Daily Mail.*
რაში ადანაშაულებს მედია გრასს	მედია გრასს ადანაშაულებს ანტისემიტიზმში
რა არგუმენტები/ფაქტები მოყავს მედიას გრასის ანტისემიტიზმის დასამტკიცებლად?	ბრიტანული გამოცემა Daily Mail წერს, რომ მოგვიანებით ისრაელის შს მინისტრმა განმარტა, რომ გრასის 70 წლის წინანდელი წარსულის გახსენების მიზეზი მისი ”ანტისემიტური” ლექსი გახდა. 2006 წელს გიუნტერ გრასმა აღიარა, რომ 17 წლის ასაკში, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე რამდენიმე თვის თვით ადრე გერმანული არმიის ერთ-ერთ დანაყოფში მსახურობდა.
რას ამბობს ლექსზე გიუნტერ გრასი?	თავად გიუნტერ გრასმა კი განმარტა, რომ მან თავისი ლექსით გააკრიტიკა არა ისრაელი, როგორც ერი, არამედ ისრაელის ამჟამინდელი პრემიერ მინისტრის ბენიამინ ნათანიაჰუს მთავრობის პოლიტიკა.
რა ღონისძიებებს მიმართა ისრაელმა გრასის წინააღმდეგ?	ისრაელმა მწერალი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა და ქვეყანაში შესვლა აუკრძალა.

მას შემდეგ რაც მოსწავლეები გაეცნობიან მედიაში გამოქვეყნებულ სტატიასა და გიუნტერ გრასის ლექსს, განიხილავენ მედიაწიგნიერების კითხვების დახმარებით, სასურველი კლასში გაიმართოს დისკუსია მოცემული კითხვების დახმარებით.

- როგორ ფიქრობთ, იგრძნობა ლექსში ანტისემიტიზმი?
- რისი თქმა უნდა ავტორს?
- შეიძლება მსგავსმა ლექსმა ანტისემიტიზმის ახალი ტალღა ააგოროს?
- რამდენად მიზანშეწონილია, ან შესაძლებელია საკუთარი ეთნიკური წარმოშობა გახდეს ცენზურის საფუძველი?
- რამდენ ხანს გაძლებს ხელოვანი ადამიანი ცენზურის პირობებში?
- ჰქონდა გერმანელ მწერალს გიუნტერ გრასს უფლება დაეწერა ეს ლექსი?

შეფასება:

განმავითარებელი შეფასება:

კრიტერიუმები	**კი**	**არა**
მოსწავლემ შეძლო სახვა და სხვა წყაროს ანალიზი		
მოსწავლემ იმსჯელა ანტისემიტი და არა ანტისემიტი გერმანელების შესახებ		
მოსწავლემ იმსჯელა ინფორმაციის გადამოწმების აუცილებლობის შესახებ		
მოსწავლემ მასალაზე და წყაროებზე დაყრდნობით მოახდინა პრობლემის კრიტიკული ანალიზი და გამოხატა თავისი დამოკიდებულება		

გამოყენებული ვიდეო რესურსები

ვიდეო #1: https://www.youtube.com/watch?v=WPsAR9Sx-JQ

ვიდეო #2: https://www.youtube.com/watch?v=j1VL-y9JHuI

ვიდეო #3: https://www.youtube.com/watch?v=qIp_8RNNX4k

ვიდეო #4: https://www.youtube.com/watch?v=EV9kyocogKo